სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/73

ქ. თბილისი 24 მაისი 2023 წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენად გამოცხადებულ კონკურში პროფესორების გ. ქვარცხავას და ვ. უგრეხელიძის სახელმძღვანელოს წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 24 მაისის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების II თავის მე-9 მუხლის თ) პუნქტის შესაბამისად აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენად გამოცხადებულ კონკურსში წარდგენილ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორების გ. ქვარცხავას და ვ. უგრეხელიძის სახელმძღვანელო-"სურსათის ქიმიის რჩეული თავები“ (2021 წ.)
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**